სახელმწიფოშესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №170

ქ. თბილისი 01 დეკემბერი 2017წ.

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"-ს (ს/კ 245426490; შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **მინდია კახიძის** სახით და **მეორეს** მხრის სსიპ „**საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი**"-ს (ს/კ 205307960; შემდგომში „**მიმწოდებელი**"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის **დავით ტორუას** სახით. ორივე ერთად „**მხარეებად**" წოდებული, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №565 დადგენილების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „მსმენელი" - ფიზიკური პირი, რომელიც გაივლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სატრენინგო კურსს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, „შემსყიდველი" უკვეთავს და შესაბამისად უხდის „მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების საფასურს.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანია, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №565 დადგენილების დანართით

განსაზღვრული მომსახურების მიწოდება, კერძოდტრენინგის ჩატარება -„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექთნებისათვის „(რს-314).

2.3. CPV კოდი: **80500000** - სატრენინგო მომსახურებები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფასურია, ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - **საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის** მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ"საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №565 დადგენილების დანართით განსაზღვრული ღირებულება „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექთნებისათვის (რს-314). ერთი მსმენელისათვის ტრენინგის სრული ღირებულებაა180 (ასოთხმოცი) ლარი.

3.2. მსმენელთ რაოდენობაა შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი''-ს მორიგე ექთნის საშტატო ერთეულის **25 (ოცდახუთი)** მსმენელი.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4 500 (ოთხი ათას ხუთასი)** ლარს.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მხარეთა შორის ანგარიშსორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს **(საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვლისწინებული მომსახურების გაწევის შემდგომ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადა,მიღებისწესი

5.1. მომსახურების ადგილად განისაზღვრება ქალაქი თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადა არის **2017 წლის 03 დეკემბრიდან 2017 წლის 15 დეკემბრის** ჩათვლით.

5.2. გაწეული სატრენინგო მომსახურება მიღებულად ჩაითვლება სატრენონგო კურსის დასრულების შემდეგ.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურებისდასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.

6.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურებისანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) ,,შემსყიდველს" მიაწოდოს,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების

წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №565 დადგენილებით განსაზღვრული ტრენინგი - გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექთნებისათვის“ (რს-314).

ბ) შესაბამისი სერთიფიკატი გასცეს მხოლოდ იმ მსმენელებზე, რომლებიც საგამოცდო-სატრეინინგო კურსის გავლის შემდეგ მიიღებენ დადებით შეფასებას (მიმწოდებლის მიერ დაწესებული საგამოცდო კრიტერიუმების ფარგლებში).

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაშიცვლილებებისშეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

13.1. „მხარეები" ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „ბათუმისსასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490	საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 205307960
მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154	იურ. მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144;
ელ. ფოსტა:batumi03@gmail.com	ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N117;
ტელეფონი: (+0422) 25 87 03;	მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
	მიმღების დასახელება - ხაზინის ერთანი ანგარიში
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"	ბანკის კოდი: TRSGE22
ბათუმისფილიალი	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707067499
ბანკის კოდი: **TBCBGE22**	შემოსულობების დასახელება - ტრენინგი
ანგარიშისN: **GE92TB4457736020100006**	„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კური ექთნებისათვის" (რს-314)
---	---
დირექტორი:	დირექტორის მოადგილე:
მინდია ჯანიძე	დავით ტორეა